ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

ოქმი # 13

სხდომას ესწრებოდა 28 წევრიდან 14 წევრი

დღის წესრიგი:

1. 2015 წლის ბაკალავრიატის ანკეტა-კითხვარის დამტკიცება
   მომხენებელი: დალი ოსეფაშვილი, პროფესორი
2. მიმდინარე საკითხები

1. მოისმინეს : ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა, პროფესორმა დალი ოსეფაშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო 2015 წლის ანკეტა-კითხვარი. გამომდინარე იქიდან, რომ თსუ-მ შეამცირა მისაღები სტუდენტების რაოდენობა, 2015 წელს ეროვნული გამოცდებით მისაღები სტუდენტების რაოდეონობა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე განისაზღვრა 490-ით. აქედან, ჟურნალიტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებაზე - 100 ადგილი (80 ქართულენოვან სექტროზე და 20 რუსულენოვან სექტორზე) და საერთაშოროსო ურთიერთობების მიმართულებაზე - 70 ადგილი. როგორც ადრე, 2015 წელსაც სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩასაბარებალდ ეროვნულ გამოცდებზე მეოთხე საგნად განისაზღვრა მათემატიკა, ისტორია და გეოგრაფია. ამ საგნების მიხედვით ადგილები განისაზღვა შემდეგნაირად: მათემატიკა - 80 ადგილი, ისტორია - 120 ადგილი და გეოგრაგია 120 ადგილი.

   ასევე, პროფესორმა დალი ოსეფაშვილმა საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მისაღებ გამოცდაზე შესაძლებელია ახალი საგნის „სამოქალაქო განათლების“ დამატება.

   აზრი გამოთქვეს: პროფესორმა გოგი გოგსაძემ აღნიშნა - „რადგან ფსიქოლოგები აღარ შედიან სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ხომ არ იქნება უკეთსი, მათემატიკა ამოვიღოთ ჩასაბარებლ საგანთა ნუხსიდან“. თუმცა, ამ აზრს არ დაეთანხმა დამსწრეთა დიდი ნაწილი. პროფესორმა მალხაზ მაცაბერიძემ გამოთქვა

აზრი საგნის „სამოქალაქო განათლების“ მისაღებ გამოცდების საგნებში დამატების სასარგებლოდ. ამ აზრს მხარი დაუჭირეს პროფსორმა გოგი გოგსაძემ, პროფესორმა ამირან ბერძენიშვილმა და ასოცირებულმა პროფესორმა ნინო დურგლიშვილმა. საბჭოს წევრი სტუდენტების უმრავლესობის აზრით „სამოქალაქო განათლების“ დამატება მისაღები გამოდების ჩამონათვალში სწორი არ არის, რადგან ეს საგანი ჯეროვნად არ ისწავლება სკოლებში; ასევე, მათი მოსაზრებით ამ საგანის ჩაბარება გაცილებით უფრო მარტივი იქნება და თანაბარ სიტუაციაში არ ჩააყენებს იმ სტუდენტებს, ვინც მათემატიკას, ისტორიას და გეოგრაფიას აბარებენ. თამარ მახარაძემ შესთავაზა საბჭოს წევრებს, ამ წელს თავი შეიკავონ „ სამოქალაქო განათლების“ დამატებაზე და შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც დეტალურად შეისწავლის აღნიშნულ საკითხს და შეიმუშავეს რეკომენდაციებს მომდევნო წლისთვის ამ საგნის მისაღებ გამოცდებში დამატება-არდამატების შესახებ.

დაადგინეს: 2015 წლის ბაკალავრიატის ანკეტა კითხვარი დამტკიცდა იმ სახით, რომლითაც წარმოდგენილი იყო პროფესორ დალი ოსეფაშვილის მიერ.

2 მოისმინეს: სტუდენტმა გიორგი როგავამ დააყენა საკითხი, თუ რამდენად სწორია ზოგიერთი პედაგოგის მიერ გამოყენებული პრაქტიკა - ლექციის დაწყების შემდეგ აუდიტორიის კარების ჩაკეტვისა და დაგვიანებული სტუდენტების არ შემოშვების შესახებ. გ. როგავა თვლის რომ ეს არ არის სწორი და ასეთი პრაქტიკა არ უნდა არსებობდეს. სტუდენტმა გიორგი კაკაურიძემ მოითხოვა პროფესორებმა სტუდენტებს წინასწარ გააგებინონ ლექციის გაცდენის შესახებ და ამით პატივი სცენ მათ დროს.

აზრი გამოთქვეს: ა. ბერეძენიშვლმა, ნ. პავლიაშვილმა. გ. გოგსაძემ და თ. მახარაძე.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: თამარ მახარაძე

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: დალი ოსეფაშვილი

#13

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

დეკანის მოვალეობის შემსრულებელი

თამარ მახარაძე

სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულება

1. იაგო კაჭკაჭიშვილი
2. ამირან ბერძენიშვილი
3. ნინო დურგლიშვილი

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

4. ზურაბ დავითაშვილი
5. ფიქრია ასანიშვილი
6. ალექსანდრე რონდელი
7. სერგი კაპანაძე

პოლიტიკური მეცნიერების მიმართულება

8. ალექსანდრე კუხიანიძე
9. მალხაზ მაცაბერიძე
10. გია ჟორჟოლიანი
11. ნანა მაჭარაშვილი

ჟურნალისტიკის მიმართულება

12. მარიამ გერსამია
13. დალი ოსეფაშვილი
14. მარი წერეთელი
15. მანანა შამილიშვილი
16. ნანა ტალახაძე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

17. ნინო პავლიაშვილი
18. თამარ დოლბაია
19. გიორგი გოგსაძე
20. თამარ დობაია
21. მარინა ბოკერია

სტუდენტური თვითმმართველობა

22. შალვა საბაური
23. გიორგი კაკაურიძე
24. თორნიკე ცინაძე
25. მაგდა გიბიშვილი
26. გიორგი როგავა
27. გვანცა გავაშელი
28. ტარიელ ირემაძე